

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი

მუხლი 1.

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი (შემდგომში - წესი) არეგულირებს მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრის მოწყობის საკითხებს.

2. მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს წევრები ვალდებული არიან წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მოაწყონ საჯარო შეხვედრა ამომრჩევლებთან და წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

მუხლი 2.

1. საკრებულოს თავმჯდომარე ვალდებულია ყოველი წლის არა უგვიანეს 31 იანვრამდე გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ბრძანება საკრებულოს წევრის (მათ შორის, საკრებულოს თანამდებობის პირის) მიერ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენის გრაფიკის დამტკიცების შესახებ.

2. მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს წევრები ვალდებული არიან ანგარიშის წარდგენის თარიღის, ადგილის და დროის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნონ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.ozurgeti.gov.ge), საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით - ანგარიშის წარდგენამდე არანაკლებ 7 დღით ადრე მაინც.

მუხლი 3.

1. საჯარო შეხვედრაზე ანგარიში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით, ანგარიშის წარდგენისას დასაშვებია აუდიო, ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, ასევე მედიის წარმომადგენლების მოწვევა.

2. საჯარო შეხვედრაზე ანგარიშის მოსმენის სხდომას წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე ან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. სხდომის მიმდინარეობისას ფორმდება შესაბამისი ოქმი.

მუხლი 4.

1. მუნიციპალიტეტის მერის საჯარო შეხვედრა ანგარიშის მოსმენის თაობაზე, შეიძლება ჩატარდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, ან სხვა საჯარო სივრცეში, რასაც უზრუნველყოფს მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

2. პროპორციული წესით არჩეული საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენა ხდება საკრებულოს სხდომათა დარბაზში, ხოლო მაჟორიტარული წესით არჩეული საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენა კი - მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული

ერთეულის ტერიტორიაზე არსებული საჯარო დაწესებულების (მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობა, საჯარო სკოლა, კულტურის სახლი და ა.შ) დარბაზში.

მუხლი 5.

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს მერისა და საკრებულოს წევრის საჯარო შეხვედრაზე ანგარიშების მოსმენას.

2. ანგარიშის მოსმენის შემდეგ, შეხვედრაზე დამსწრე ამომრჩევლებს უფლება აქვთ დასვან შეკითხვები, გამოთქვან თავიანთი შენიშვნები და წინადადებები, შეაფასონ მომხსენებლის საქმიანობა.

მუხლი 6.

მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ წარდგენილი ანგარიშები ქვეყნდება საჯაროდ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ozurgeti.gov.ge) - ანგარიშის წარდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში.